ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

24 მარტი 2014 წელი
თბილისი

საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი (შემდგომში სასწავლო ცენტრი), წარმოდგენილი ცენტრის დირექტორის ნინო ციხისთავი-ხუციშვილის მიერ და შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორის, მამუკა თავხელიძის მიერ, (შემდგომში - მხარეები) თანხმდებიან ურთიერთთანამშრომლობის წინამდებარე პირობებზე:

1. მემორანდუმის საგანი

   წინამდებარე მემორანდუმის საგანია მხარეებს შორის ურთიერთგაგებისა და პატი–ვისცემის პრინციპებზე დაფუძნებული თანამშრომლობა.

2. მემორანდუმის მიზანი

   წინამდებარე მემორანდუმის მიზანია ისეთი ერთობლივი პროგრამების დაგეგმვა და განახორციელება, რომლებიც მიმართულია სამართლებრივი კვლევების, სამართლის პოპულარიზაციის, საგანმანათლებლო საქმიანობის, სტუდენტებისა და იურისტების პროფესიული განვითარების ხელშეწყობისაკენ.

3. მემორანდუმის ამოცანები

   ზემოთ ხსენებული მიზნებიდან გამომდინარე, მხარეები თანხმდებიან ერთობლივი ძალისხმევით განახორციელონ:

   3.1. საჭიროების შემთხვევაში, სასწავლო ცენტრმა უზრუნველყოს სასწავლო ცენტრის რესურსის (მათ შორის, თბილისისა და ყვარლის ოფისების) გამოყოფა შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტისათვის შეღავათიან პირობებში.

   3.2. საჭიროების შემთხვევაში, სასწავლო ცენტრმა უზრუნველყოს შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტისათვის და მისი თანამშრომლებისთვის ტრენინგების ორგანიზება.

   3.3. მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამები;

   3.4. თანამშრომლობის კონკრეტული ფორმების რეალიზებისათვის აუცილებელი ინფორმაციის ურთიერთგაცვლა;

3.5. სხვა ღონისძიებები ზემოჩამოთვლილი მიზნების მისაღწევად.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1. მემორანდუმით გათვალისწინებული ერთობლივი პროგრამების, აგრეთვე ცალკეული ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები, უნდა გადაწყდეს მხარეთა შორის მოლაპარაკებისა და შეთანხმების გზით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

4.2. დაუშვებელია წინამდებარე მემორანდუმის რომელიმე დებულების შეცვლა, მოდიფიცირება, უარყოფა, გაუქმება ან შეწყვეტა მხარეთა წერილობითი თანხმობის გარეშე;

4.3. წინამდებარე მემორანდუმში სათაურებს აქვს მხოლოდ დეკლარაციული ხასიათი და არ იქონიებს გავლენას მემორანდუმის განმარტებაზე. თუ დროის ნებისმიერ მონაკვეთში ამ მემორანდუმის რომელიმე დებულება მიიჩნევა ძალადაკარგულად, ეს გავლენას არ იქონიებს მემორანდუმის, როგორც მთლიანის იურიდიულ ძალასა ან კანონიერებაზე;

5. დასკვნითი დებულებები

5.1. წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად;

5.2. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს ხუთი წლის ვადით;

5.3. მხარეები უფლებამოსილნი არიან ურთიერთშეთანხმებით შეწყვიტონ მემორანდუმი.

მხარეთა რეკვიზიტები:

„სასწავლო ცენტრი“

მისამართი: ვახტანგ გორგასლის ქ. 24, თბილისი, საქართველო 0133

ტელ: (+995 32) 2 932250
ფაქსი: (+995 32) 2 932250
ელ-ფოსტა: ntsikhistavi @justice.gov.ge
ვებგვერდი: http://www.tcj.gov.ge

ცენტრის დირექტორი

ნინო ციხისთავი-ხუციშვილი

შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

მისამართი : საქართველო, ქ. თბილისი ჯანო ბაგრატიონის N5

ტელ.: (+ 995 32) 2 38 44 06
ფაქსი: (+995 32) 2 252 981
ელ. ფოსტა: gruni@edu.ge

ვებ-გვერდი: www.gruni.edu.ge

უნივერსიტეტის რექტორი

მამუკა თავხელიძე